



№ 3-67



ქვეყნო-კვლევითი ეთერნალი

№ 23

ვალიწალი მისი



საქმის №	_____
დანიშნულება	_____
საქმის №	_____
საქმის №	_____
საქმის №	9776

ფასი 10 კპ.

33(05)  
5-67



ყოველ კვირული საზოგადო. ეკონომ.  
მიური და სალიბერატურო შუხნალი

რედაქცია ღიაა 10 -3 საათ.

მისამართი: თბილისი, Габаевский пер. № 3 რედაქცია „კლდე“. დეპეშისა: თბილისი კლდე.

**ს ა რ ჩ ე ვ ი:** ვისარგებლოთ! — დ. ჯავახიშვილისა. შორიდან. — დუბუ მეგრელისა. სთავად-აზნაურთა გამნაზია და ქართუ. საზოგ. — ლ. დ-ესი. ქრთნიკა. მუდამ-მწკასენი. — თარკმ. ი. სონდულაშვილისა. გაზეთებიდამ. გლეხთა კავშირები. — დ. ვაჩნაძისა. ქართულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებაში. — დამსწრესი. ანგარიში საისტ. და საარქეოლ. საზოგადოებისა. ჩვენი ფოსტა.

### ვისარგებლოთ!

ჩვენი აწმყო ცხოვრების ერთ საჭირობო-როტო საკითხად უნდა ჩაითვალოს მოზარდთაობის აღზრდის ერთ წერტილზედ გაყინვა. ისეა დაავადებული და ჩამორჩენილი მთელი ჩვენი ეროვნული სხეული, რომ თითქმის ყოველი მისი ასო ცალკე თხოულობს ფაქიზ მზრუნველობას საზოგადოებრივ ცხოვრების მეთაურთაგან. შეაჩერებ თუ არა გულის ყურს ერთ რომელიმე მოვლენაზედ და მის უნუგეშო მდგომარეობაზედ და ვერც კი მოასწრობ მის განსჯას და შესაფერი შედეგის გათვალისწინებას, რომ ცხოვრება მის მაგიერ ახალ სავალალო სურათს გადგიშლის. და ესე ამგვარად იშლება ჩვენს წინაშე სერია ერთი მეორეზედ საყურადღებო და სავალალო სურათებისა. ამ უამად ჩვენ ყურადღებას იპყრობს ისევ ჩვენი სწავლა-განათლების საქ-

მე. ვის არ მოეხსენება, რა დიდი მნიშვნელობა აქვს ეროვნულ აღორძინებისათვის მოზარდთაობის ჭეშმარიტ და სწორ გზაზედ დაყენებას. და ამ დიად საქმეს კი მხოლოდ სკოლა კისრულობს. მაშასადამე ჩვენი ცხოვრების მორიგ საკითხად ამ სკოლის რეორგანიზაციის საქმე უნდა ჩაითვალოს; ჩვენი მახლობელი მიზანია — შევქმნათ ისეთი სახალხო პირველ დაწყებითი სკოლები და მათი გაგრძელება — საშუალო ტიპის სასწავლებლები, რომელნიც აღგვიზრდიან ახლო მომავალში დამოუკიდებელ მუშაკებს, ეკონომიური ღირებულების შესაქმნელად. ყოველ ჩვენ ცდას ამ ნიადაგზედ ეღობება წინ ცალკე ჩვენი საზოგადოების უნარის უქონლობა და უდროოდ ხალისის დადამბლავება და ცალკე — გარეშე, ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზები და მათ შორის უმთავრესი — მთავრობისაგან ჩვენი ამ წადილის დატუქსვა. ჩვენც ადვილად ურიგდებით ამ გვარ მდგომარეობას და გალიაში გამომწყვდეულ მფრინველს ვგევართ, რომელსაც გაფრენისა დიდი მადა აქვს, მაგრამ გალიის კარი კი მჭიდროდ ზღუდავს მის ფანტაზიას.

ჩვენი ღრმა რწმენით გარეშე დაბრკოლებანი ისეთ საფრთხეს არ წარმოადგენენ, როგორც ეს ჩვენ, სუსტი უნარის პატრონებს გვეჩვენება და თუ მეტ ერთსულოვნებას გა-

მოვიჩინო, ამ ვითარებაში „შეუდრეკელ“ ძალას გადავლახავთ. მეტადრე ამ ბოლო დროს ეს დაბრკოლებანიც ცოტად თუ ბევრათ ჩვენს სასარგებლოდ იცვლება და ჩვენგან ცხოვრება მხოლოდ სარისტიანობას და შემოქმედებითი ძალის გამოჩენას თხოულობს. ჩვენ მხედველობაში გვაქვს ამ უამად ახალი კანონი სკოლების შესახებ, რომელმაც სახელმწიფო საბჭოს სცილა და ხარიბდა გაიარა და კიდევ ჩვენთვის გამოსადეგი გადარჩა; რასაკვირველია, თუ შემდეგ სამინისტროს სხვა და სხვა ცირკულიარებით და საიდუმლო წარწერებით არ იქმნა გაქარწყლებული. სახელმწიფო საბჭომ განიხილა კანონპროექტი კერძო სასწავლებელთა დაარსების შესახებ. საბჭომ გაათართოვა საკითხი და კერძო სასწავლებელთა კატეგორიაში ჩარიცხა არა მარტო ის სასწავლებლები, რომლებსაც კერძო პირნი აარსებენ, არამედ ერობათა და ქალაქების მიერ დაარსებული სასწავლებლებიც და აგრეთვე ისინიც, რომელთაც ესა თუ ის წოდება აარსებს. ჩვენ, ქართველებს ის უფრო გვაინტერესებს, თუ რა ენაზე უნდა სწარმოებდეს სწავლა ამ კერძო სასწავლებლებში. იმ ცნობებიდან, დებუშათა სააგენტო და გაზეთები რომ გადმოგცემენ, ჯერ-ჯერობით ის დასკვნა შეიძლება გამოვიტანოთ, რომ კერძო სასწავლებლის დამაარსებელთ შედარებით მთავრობის ე. ი. სახაზინო სკოლებთან უფრო ფართო ასპარეზი ეძლევათ გარემოების და მიხედვით უპირატესობა მისცენ ამა თუ იმ ენას და უფლება ეძლევათ საგნების ამორჩევისა. ახლანდელ არარაობაში ისიც კარგია, რომ გამოვიყენოთ ჩვენი კერძო სასწავლებლების რეორგანიზაციისთვის, მით უმეტეს რომ ქ. შ. წ. გ. საზოგადოების სკოლები მთლად ამ კატეგორიაში უნდა ჩარიცხოს და ამიერიდანვე პროგრამების შემუშავების დროს შევიტანოთ ის საჭირო და სასარგებლო ცვლილებანი, რომელნიც ცოტათი მაინც გამოაცოცხლებენ და ჩვენს კერძო სკოლებს ცხოველყოფელობას მიანიჭებენ. ამსაკითხს კიდევ დაუბრუნდებით.

დ. ჯავახიშვილი.

შ ო რ ი დ ა ნ \*



ქართველ ქალთა საზოგადოებრივი

სწორედ მაშინ, როცა თბილისელი ქართველი ქალები, ორ დასად გაყოფილნი, ერთმანეთს ეკამათებიან იმის შესახებ, ცალკე საზოგადოება დააარსონ, თუ კავკასიელ ქალთა საზოგადოებაში შევიდნენ დამოუკიდებელ ქართულ სექციის სახით, ჩვენში სტუმრად მოსული ბ-ნი ბრევერნი აი რას ეუბნება ქართველ საზოგადოებას.

„აგერ რამდენიმე წელიწადია ზამთრობით თქვენ მშვენიერს თბილ ქვეყანაში ჩამოვდივარ, რომ შევიმსუბუქო გულის სნეულება; ჩამოვდივარ რადგანაც ჰავა ჩემი სამშობლო ქვეყნისა ჩემთვის უღმობელია იქ ბალტიის ზღვის კიდევებზე.“

„თბილისის ცხოვრებაში მრავალი ბრწყინვალე მხარეები ვიპოვე. მაგრამ შევატყე აგრეთვე ბნელიც. ვხედავ და ვწუხვარ, რომ ქართველ ეროვნების ლატაკები, რომელნიც, ახლო რა გაიცნობ, სრულიად ღირსნი არიან სიყვარულისა და პატივისცემისა, არ იწვევენ შებრალებას თვით ქართველებშივე. დიდად, მეტად სამწუხაროა, რომ აქ ნაკლებად იჩენს თავს ნამდვილი სიყვარული მოყვასისადმი, და ეს იმის გამოა, როგორც მითხრეს, რომ ქართველებს არა აქვთ დაარსებული ღარიბ-ღატაკთა დამხმარე საზოგადოება. რუსებს, გერმანელებს და სომხებს აქვთ ასეთი საზოგადოებანი, ხოლო ქართველებს კი არა. აპრილის შვიდს „თბილისის ლისტოკის“ კვირეულს ნომერში ამოვიკითხე ერთ ქ-ნ ჩხეიძის შესახებ, რომელიც სცხოვრობს საუფლისწულო ქუჩაზე (უდელნაია № 25,) რომ იგი მანდილოსანი ავადმყოფ ქალიშვილთან ერთად დიდად გაჭირვებულს მდგომარეობაშიაო, მაგრამ ეს ცნობა, თურმე, მაინც სუსტად გვიხატავდა გაჭირებასაო; როცა ვნახე, იქ ოთხ ნესტიან კედლებ შუა ერთად ერთი ავეჯი აღმოჩნდა—თუნუქის პატარა ფეხი: იქ არ იყო არც ლოგინი, არც სკამი, არც მაგიდა და არც სხვა რამე ავეჯეულობა. ცივი ქვის იატაკზე დაყრილნი იყვნენ ეს ღარიბები, რომელთა მოლალოულს ძარღვებში იდგა ქართველების სისხლი. ოჰ, რა სიღატაკე იყო!“

\*) რედაქცია არ ეთანხმება ამ წერილში გამოთქმულ ზოგიერთ დებულებას და ჰბეჭდავა როგორც ერთ-ერთ აზრს ცნობილი მწერლისას; შემდეგში გამოვთქვამთ ჩვენსასაც.

„გაზიარებული ტანჯვა — განახევრებაა ტანჯვისა, გაზიარებული სიხარული — ორკეცი სიხარულიაო“, ნათქვამია. ქართველობა მძიმე გარემოებას განიცდის დღეს, მაგრამ იგი შესძლებდა თავიანთ ტანჯულების ცხოვრების რამდენადმე შემსუბუქებას, რომ მოეწყო ის საქმე, რომელსაც საჭიროებს თბილისი. ქართველი კაცის კეთილშობილი და მორცხვი ხასიათი არ აძლევს მას ნებას პირდაპირ ქუჩაში მათხოვრობა დაიწყოს... თავის ღარიბებს ქართველობა უყურადღებოდ სტოვეს, რადგანაც ქართველი ლატაკი მორცხვია, იმალება და თვალში არავის ეჩხირება. გარეშეებს კი შველის, მათთვის შემწეობა არა შურს, რაიცა შე თვითონ შემინიშნავს არა ერთხელ. ქართველს მათხოვარს თითქმის ვერსად შეხვდებით. კეთილშობილება, პატიოსნება და დიდ სულოვნება ხომ მეორე ბუნებაა ქართველობისა, ამიტომ ადვილად შესაძლებელია მოიწადინოს მან და დაუყოვნებლივ დაიარსოს რიგიანად მოწყობილი ქართველ ღარიბ-ლატაკთა დამხმარე საზოგადოება“... („თემი“ № 123).

კომენტარები არ სჭირდება ამ შესანიშნავ წერილს

ბოდიშს ვიხდი პატივცემულ თბილისელ მანდილოსნებთან, მაგრამ არ შეიძლება არ ვუთხრა, რომ იმაზე კაპათს, ცალკე საზოგადოება დაიარსონ, თუ „კავკასიელ საზოგადოებაში“ შევიდნენ დამოუკიდებელ სექციის სახით, აჯობებდა; უკვე დიდი ხანია დაარსებული, მაგრამ მიმკვდარებული, ქართული საქველ-მოქმედო საზოგადოება გამოეცოცხლებინათ და ამ ნიადაგზე შესაფერ მოღვაწეობით, რაც ასე შეშვენის საზოგადოდ ქალის ბუნებას, გვერდით ამოსდგომოდნენ თავიანთ თბილისელ რუს, გერმანელ და სომეხ დებს. სამწუხაროდ მოშორებული ვარ ქართულ ცხოვრებას და ამიტომ შეიძლება ვცდები, მაგრამ მე მგონია, სრულიადაც არ შეადგენს საჭიროებას ქართველ ქალთა ქართველ მამაკაცთაგან გაცალკევება და საკუთარ საზოგადოების დაარსება. დღევანდელს პირობებში ყველა ქართველის, კაცია თუ ქალი, ერთადერთ მოვალეობად მიმაჩნია ემსახუროს საერთო საქმეს შეერთებული ძალით.

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, დრამატული, ფილარმონიული, საისტორიო და საეთნოგრაფიო, სიტყვა-კაზმულ მწერლობისა, კულტურული და სხვა და სხვა, განსაკუთრებით ქართული საქველ-მოქმედო, საზოგადოება-აი რა მრავალმხრივი ასპარეზი ეშლება ყოველ

ქართველ მანდილოსანსა სამოღვაწეოდ და არ მესმის, რად დასჭირებიათ ცალკე ქართველ ქალთა საზოგადოების დაარსება? ქალთა საზოგადოებათ, თუ არ ქველ-მოქმედება, უმთავრესად ახალ უფლებათა შეძენა და მამაკაცებთან სრული გათანაბრება აქვთ მიზნად, მაგრამ ქართველ მამაკაცს რა მეტი უფლება აქვს ქართველ მანდილოსანზე, რომ მის მოსაპოვებლად შეერთდნენ ქართველი ქალები და საზოგადოება დაიარსონ? არ მესმის არც იმ ქართველ ქალთა ჯგუფის სურვილი, რომელსაც განუზრახავს განსაკუთრებულ „ქალთა ბექდვითი ორგანოს“ დაარსება. ამის შესახებ ქნ ცაცა დარახველიძის ასულის წერილი, ბედის რაღაც მწარე ირონიით მოთავსებულია გახეთ „თემის“ იმავე №-ში, რომელშიაც ზემოდ მოყვანილი ბ-ნ ნ. ბრევერნის წერილია და სწორედ ამ უკანასკნელის შემდეგ არის დაბეჭდილი...

„ვხედავ და ვწუხვარ, რომ ქართველი ეროვნების ლატაკები, რომელნიც, ახლო როგაიცნობ, სრულიად ღირსნი არიან სიყვარულისა და პატივისცემისა, არ იწვევენ შებრალებას თვით ქართველებშივე. დიად მეტად სამწუხაროა, რომ აქ ნაკლებად იჩენს თავს ნამდვილი სიყვარული მოყვანისადმი, და ეს იმის გამოა, რომ ქართველებს არა აქვთ ღარიბ-ლატაკთა დამხმარე საზოგადოება. რუსებს, გერმანელებს და სომხებს აქვთ ასეთი საზოგადოებანი, ხოლო ქართველებს კი არა!.. ჰგოდებს ბ-ნი ნ. ბრევერნი...

ქალბატონებო, უპირველესი თქვენი მოვალეობაა მოაწყოთ ეს საქმე!..

დუბუ მეგრელი.



## თბილისის სათ.აზხ. გიმნაზია და ქართველი საზოგადოება

ჩვენი გიმნაზიის საკითხს რომ ვეხებით, ერთგვარ მოკრძალებასა და შიშსა ვგრძნობთ, რადგან ამ წერილში გვინდა წავიდეთ წინააღმდეგ იმ ტრადიციებისა და შეხედულებათა, რომელნიც დამყარებულან (თუმცა უკვე მოძველდნენ კიდევ) ქართულ საზოგადოების ხელმძღვანელ წრეებში.

ყურადღებით და დაკვირვებით გვინდა განვიხილოთ ყველა ის მასალა, რაც ხელთა გვაქვს, აღწეროთ დამყარებული ჩვეულებანი და იმედი გვაქვს

მკითხველიც ისეთივე ობიექტივიზმით შეხვდება ჩვენს აზრს, როგორც ჩვენ მას გამოვთქვამთ, ვინაიდან მიზნად ჩვენც მარტო სამშობლოს კეთილდღეობა გვაქვს.

საერთაშორისო სტატიის ფარგლებში ჩვენ გვინდა გავარჩიოთ ერთი უდიდესი საქირ-ბოროტო საკითხთაგანი კულტურულ-განმანათლებელ სფეროში.

განმათავისუფლებელი ხანა მესამოცე წლებისა, ხანა იყო საზოგადოებრივ-კულტურულ მოქმედების გამოღვიძებისა ჩვენში. ამ დროიდან ყალიბდება მკაფიოდ ჩვენი ინტელიგენციის მიზნები ხალხის და ნამეტანავად საზოგადოების განათლებისა.

მაშინდელ მცირე-რიცხოვან ინტელიგენციას დიდი ბრძოლა სჭირდებოდა საზოგადოების ინდიფერენტობიდან კულტურულ საქმეებისადმი; სჭირდებოდა ბრძოლა ჩვეულებებთან და ნამეტანავად იმდროინდელ მილიტარიზმთან, რომელიც ძლიერ იზიდავდა ქართველ ახალგაზრდობას. სამხედრო სამსახური გატაცებას, რომელიც აიხსნება ქართველი ახალგაზრდობის ზედმეტი ენერჯით, რომელმაც არ იცოდა რაზედ მოეხმარა თავისი ძალა, — ისეთი ღრმა ფესვები ჰქონდა გადგმული, რომ თითო-ორი-ღა ადამიანს თუ შეხვდებოდი საზოგადო ან სახელმწიფო ასპარეზის სხვა დარგებში.

უმეტესი ნაწილი თავ-აზნაურ მემამულეებისა სცხოვრობდა სოფლად, ოდნავ მეურნეობას ეწეოდა, ან სულ არაფერს აკეთებდა და ყველაფერი მიგდებულ იყო მოურავებზედ. რასაკვირველია, სოფელში მცხოვრებ ახალგაზრდობას იზიდავდა ქალაქი თავისი გასართობებით, „ბრკყვიალა მუნდირით და პაგონებით“. ან სხვა რა საქმეს მოეკიდებოდა ეს ახალგაზრდობა, უსწავლელი და ელემენტალურ ცოდნას მოკლებული კულტურულ-საზოგადოებრივ მოქმედებაზედ!

სწავლას და განათლებას მაშინ როგორც გასართობს და უქმს რასმე უყურებდნენ.

ამიტომ გასაკვირველიც არ არის, რომ უპირველეს მიზნად მაშინდელ ინტელიგენციას ჰქონდა გამოღვიძება და განათლება საზოგადოებისა, როგორც საწინააღმდეგო მოვლენა ერთმხრივი გატაცებისა „მუნდირით და პაგონებით“.

თუ რამდენად ძნელად და წია-წიოთ მიდიოდა საქმე ჩვენი მემამულეთა გაკულტურებისა, სჩანს იქიდან რომ ჯერ კიდევ 90-იან წლებში, თავ-აზნაურების შვილები აღწევდნენ მარტო მეოთხე კლასამდის და თავის სწავლას დამთავრებულად სთვლიდ-

ნენ. ისე რომ საზოგადოებაში მეოთხე კლასს სახელად „სააზნაურო“ კლასიც კი დაერქვა.

მაგრამ ინტელიგენცია არა ჰკარგავდა იმედს და ყველა კულტურული საშუალებით სცდილობდა საზოგადოებრივ შეგნების გამოთხიზლებას: წიგნებით, გაზეთებით, თეატრის მოწყობით და ნამეტანავად სკოლების გახსნით.

აი სწორედ ამ მიზნით იყო შექმნილი სათავად-აზნაურო სკოლაც, ახლანდელი გიმნაზია; ინტელიგენციის ამ მისწრაფებაში საზოგადოების გამოსაფხიზლებლად, მის გულში ჩასანერგად სიყვალულისა განათლებისადმი; მისწრაფებაში, რომელიც გაჰფანტავდა განვითარების შემაფერხებელ მილიტარიზმით გატაცებას — იყო მისი უდიდესი ღვაწლი. განათლება თანდათან იკიდებდა ფეხს, როგორც თავ-აზნაურულ, ისე გლეხთა წრეშიაც. ქართველი საზოგადოება თან და თან უფრო მეტად გრძნობდა საჭიროებას არა მარტო საშუალო, არამედ უმაღლესი სწავლისასაც. ამ გამოთხიზლებაში დიდი ადგილი ეჭირა სათავად-აზნაურო სკოლასაც, რომელიც ხელს უწყობდა სწავლისათვის მოზარდ თაობას — თავისი სიიაფით.

საზოგადოება გამოთხიზლდა, შეიგნო უეჭველი საჭიროება სწავლისა; შემდეგში მისწრაფება ცალკე პირთა საშუალო და უმაღლეს სწავლისადმი — საზოგადო მოვლენად და გატაცებად გადაიქცა. აღარავინ ზოგავდა არც ენერჯიას, არც სახსარს, რომ მიეღწია ჯერ კლასიკურ გიმნაზიამდე და შემდეგ უნივერსიტეტამდეც. არავის ფიქრადაც არ მოსდიოდა სხვა გზები განათლებისადმი და ახლაც თითქმის ასევეა დარჩენილი. მდიდარ მემამულეთ წაბაძეს ხელმოკლეებმაც და ბოლოს გლეხობამაც, რისთვისაც არა ზოგავდნენ მამულსაც კი დასაგირაველად და გასაყიდად. ეს არც გასაკვირველია, რადგან ხელმძღვანელნი ქართული ცხოვრებისა მარტოდნენ კლასიკურ განათლებაში ხედავდნენ ხსნასა. არავისა ჰქონდა გათვალისწინებული, გამოანგარიშებული იმ შედეგებზედ, რომელიც მოჰყვებოდა ასეთს ცალმხრივობას. შეიქმნა ისეთი ატმოსფერა, საცა ყველა ესწრაფებოდა და ეწაფებოდა კლასიკურ სწავლას და უნივერსიტეტს დიპლომისათვის.

აი სწორედ უნივერსიტეტამდი ამ მასსიურ მისწრაფებაშია ტრაგიზმი ქართული საზოგადოებისა და უბედობა იმ ჩამორჩენილ ერთა, რომელნიც იძულებულნი არიან სწრაფი ტემპით მისდონ სხვებს კულტურის და განვითარების გზაზედ. მაგრამ, რა-

კი ჩვენი ინტელიგენცია ვერ მისდევს ფეხ და ფეხ ვეროპის წინმსვლელობას, მუდამ საკითხების მხოლოდ თეორიულ გარდაწყვეტაშია და პრაქტიკულად ვერ აყალიბებს თავის იდეებს ხალხის უმრავლესობაში. ეს არც შესაძლებელია, სანამ რაციონალურ ეკონომიურ პოლიტიკის ნიადაგზე არ შესდგება, რომელიც ამალღებს ყოველი ერის მატერიალურ კეთილდღეობას.

რასაკვირველია, ბუნებრივი იყო ქართული ინტელიგენციის, მისწრაფება რომ ერთ დონეზედ მდგარიყო თავის თანამედროვე ხანასთან განვითარებაში, მაგრამ ამას ფიქრობდა მარტოდენ ქალაქის ინტელიგენციის გაძლიერებით, რისთვისაც სცდილობდა დაენერგა და გაეგრცვლებინა მარტო საქალაქო პროფესიები: ადვოკატურა, მასწავლებლობა, ექიმობა და სხ. მეორე მხრივ, წინანდელი სიბნელე ჩვენი სოფლისა აშინებდა ნორჩ ინტელიგენციას, რომელსაც ჯერ ძალა არ შესწევდა და რწმენა არა ჰქონდა საკმარისი, რომ ფაქტიური ბრძოლა გაეწია ამ არა სასურველ მოვლენასთან სოფელში.

ამ ხანაში გამონაკლისს შეადგენს მესამოცე წლები, როცა სურვილია „ხალხში გასვლისა“ ჩვენ მკირერიცხოვან ინტელიგენციაშიაც იჩინა თავი, მაგრამ, რაკი მოუმზადებელი იყო პრაქტიკულად, — რეალურად ამასაც არავითარი შედეგები არ მოჰყოლია ხალხისათვისა.

რაკი კლასიკურ სწავლას იღებდა ქართველი ინტელიგენტი, იგი სცდილობდა დაბინავებას ქალაქში და საქმობას საზოგადოებრივ ასპარეზზედ; მაგრამ უმრავლესობა მიდიოდა ჩინოვნიკებად, რადგან ეხლა მეტი თანხა ჰქონდათ დიპლომის სახით. ოცნება აფიცრის მუნდირზედ, შეიცვალა ჩინოვნიკის ტემლაკებზედ ოცნებად. მალე დიპლომის მიღება შეიქმნა *conditio sine qua non* უველა იმისთვის, ვინც კარიერაზედ ფიქრობდა.

ხალხს თვალწინ ედგა უნივერსიტეტების ამგვარი წინსვლა და ამის გამო უნივერსიტეტული განათლება უნებლიად ცხოვრებაში გამარჯვების წყაროდ მიაჩნდათ. რაღა თქმა უნდა უნივერსიტეტულთან ერთად, მშობლების მეტ ყურადღებას იზიდავდა გიმნაზიის კლასიკური განათლებაც, როგორც პირველი საფეხური მომავალი კარიერისა.

მე შევეცდები გავარჩიო რა სარგებლობა და ზიანი მოაქვს კლასიკური და უნივერსიტეტული განათლებით მასიურ ვატაცებას, რომელმაც ასე ღრმად გაიდგა ფესვები როგორც ქალაქელების, ისე


სოფლელებს შორის, ამასთანავე ერთად განვიხილავ ქართულ გიმნაზიის მნიშვნელობას ჩვენს საზოგადოებისათვის. სანამ საზოგადოება შეიგნებდა განათლების საჭიროებას, იქამდე უსარგებლოა მნიშვნელობა ჰქონდა ინტელიგენტებსა და მასწავლებლებს პირების შექმნას, ვინდაც ისეთებისას, რომლებსაც საქმით დიდი სარგებლობა არ მოჰქონდათ ხალხისათვის: თვითეული ცოტად თუ ბევრად განათლებული ადამიანი არამც თუ თვითონაც ვერ ამბობს უარს კულტურაზე და განათლებაზე, სხვასაც მიათრევს პროგრესის გზაზე. მაგრამ „წმინდა“ ინტელიგენციის შექმნის პრინციპი — ინტელიგენცია ინტელიგენციისათვის — მისაღებია მხოლოდ ერის საზოგადოებრივ მოქმედების განვითარების პირველ საფეხურზე, რადგანაც საზოგადოებისა და განსაკუთრებით ხალხის ცხოვრება თეორეტიულ მსჯელობით კი არ უკეთესდება, არამედ პრაქტიკულ განხორციელებით.

რაც ვინდა დიადი და ჭეშმარიტი იყოს ჩვენი იდეოლოგიების აზრები, ხალხი მაინც ვერ წავა წინ, თუ კი მასთან შესისხლხორცებული, ახლო მდგომი ხელმძღვანელი არ მიეშველება. მარტო სასარგებლო აზრის გამოთქმა კი არ არის საკმარისი, უნდა ადამიანმა საქმითაც შესძლოს მისი განხორციელება. ამისთვის კიდევ საჭიროა შექმნა განხორციელებების რაზმებისა და ხალხის მომზადება თვით მოქმედებისათვის. თუ ინტელიგენცისა სწადიან რომ სიცოცხლის ნიშან-წყალი ეტყობოდეს და უსარგებლო არ იყოს თავის ერისათვის, ხალხს კი არ უნდა ჩამოჰშორდეს, უნდა გაერიოს შიგა და შეიგნოს მისი გაჭირვება, როგორც სულიერი ისე მატერიალური.


როგორც სულიერი ცალმხრივი ძლიერი განვითარება ღუპავს ადამიანის, თანაბარ ფიზიკურ განვითარებას მოკლებულ, ორგანიზმსა, ისევე ილუპება ხალხი, როცა სულიერად არის გამოღვიძებული და თანაბარი ეკონომიური განვითარება კი აკლია.

ლ. დ.

(შემდეგი იქნება).



# ქ რ ო ნ ი კ ა

**მუდამ-მწვანენი**   
 (ჯერომ კ. ჯერომი) *რომანოვი*  
 ზიზლიძის  
 დასსრულა

## ქართული საკოოპერაციო კურსების თბილისში

ქართულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საკოოპერაციო სექციამ გადასწყვიტა მოაწიოს ამ ზაფხულს 15-25 ივლისამდე დროებითი კურსები ქართველ კოოპერატორებისთვის. ამისათვის მოწვეულია რუსეთიდან ლექციების წასაკითხავად ცნობილი კოოპერატორი ა. ვედოკიმოვი. მასთან ერთად წაიკითხავენ ლექციებს სხვა და სხვა კოოპერატიულ დარგებიდან სვ. ვახვახიშვილი, კ. კანდელაკი, ა. ქუთათელაძე, დ. ვაჩნაძე, ა. კახელაძე. კურსების პროგრამა ამ მოკლე ხანში დაბეჭდილი იქნება. ლექციებს ქართულად წაიკითხავენ.

## გამოფენა კრა-კერვის სკოლაში

წარსულ კვირას დაიწყო და სამ დღეს გაგრძელდა გამოფენა ქართველ ქალთა სამკერვალო სკოლაში (გაბაჩიაშვილის ქუჩა № 3).

გამოფენამ კარგა ბლამად ხალხი მიიზიდა და მრავალი ჩავთაც გაიყადა. სტუმრება ძლიერ კმაყოფილნი რჩებიან შეკრდების მხატვრულ კერვის ნაწარმებით და სხვა და სხვა შინ სახმარი საკერავებით. მკრამ ხელმძღვანელთა უურადლება უნდა მივაქცათ იმ კარკემოებსზე, რომ უმეტესა ნაწილი გამოფენისა, სუბედუროდ, წარმოადგენდა ხელფურს ხელსაქმეს (ИЗЪЯЩИЯ РУКОДЕЛІЯ) და ნაკლებად იყო უფრო გამოსადეგი და სახმარი ნივთები.

სკოლა, რომელიც უმეტეს ნაწილად ზრდას დარბი ოჯახების შვილებს, უნდა ემსახურებოდეს განსაკუთრებით ცხოვრებაში გამოსადეგ პრაქტიკულ საქმეს — რაც გამოადგებათ მოწაფეთა საკუთარ ოჯახშიაღ და ლუკმა პურის სამზარეულოაღ და ხელფურს ხელსაქმეს მხოლოდ დამატებითი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს. ზემო აღნიშნულ გამოფენას კი ისეთი ხასიათი ჰქონდა, თითქო მთავარი საგანი და მიზანი სკოლისა, ბრჭყვიალა ზიზლიძის იუვეს — რაც არც სინამდვილეს ეგუება, რადგან, როგორც ვიცით, თავი და თავი სწავლება უბრალო, სადა და საჭირო ხელსაქმეზე სწარმოებს, ქართველ ქალთა სკოლაში — და არც საჭიროა შეცდომაში შეყვანა საზოგადოების იმხმრივ, რაც არსებითად არ შეადგენს მიმზიდველ მხარეს.

კარგა ხანია მას აქეთ, რაც მე პირველად ბულოდოგი გავიცანი. ჩვენ, მე და ჩემი ძმობილი ჯორჯი, აგარაკად ვიყავით გასული. ერთხელ ღამე გვიან დაგბრუნდით შინა; სახლის პატრონებს ჩვენთვის სანთელი დაეტოვებინათ და თვითონ კი დაეძინათ. შევიდით ჩვენ ოთახში, დავსხედით და ფეხთ დაფიწყეთ ხდა.

სწორედ ამ დროს ხალიჩაზე მწოლარე ბულოდოგი შევამჩნიეთ ბუხართან. ასეთი ჩაფიქრებული და ამასთანავე ავი სახის პატრონი ძალი ჩემ დღეში არ მენახა.

აშკარად სჩანდა, რომ გული დახშული ჰქონდა ყოველ-გვარ კეთილშობილურ და კულტურულ სურვილებისათვის. ჯორჯის სიტყვისა არ იყო, უფრო კერპთაყვანისცემლების ღმერთს მოგაგონებდათ ეს ცხოველი, სანამ კაი გულის ინგლისურ ძალსა.

როგორც ეტყობოდა, ჩვენ გველოდა: დაგვიჩინაბა თუ არა, წამოდგა ფეხზე; საშინელის ღიმილით მოგვესალმა და ჩვენსა და კარგებ შუა ჩადგა.

— რა ჩინებული ძალია! — ვსთქვით ჩვენ ორივემ ერთად და ზედ დატანებით ოთხფეხსაც შევეკითხეთ: — მართლა კარგი ბიჭი ხარ არა, ჩვენო ტუგიავ? ეს სიტყვები ისეთი დაჯერების კილოთი წამოვიძახეთ, რომ გვეგონებოდათ, ეჭვი არ გვეპარება ძალის სიკარგეზეო. ნამდვილად კი ჩვენ ეს ფიქრადაც არ მოგვევლია, გულში სულ სხვა გვექონდა; ჩვენი აზრი ბულოდოგის სასარგებლოდ არაფერს ამბობდა, მაგრამ ეს ვერ გვეღვიარებინა ხმა მალლა. თავის დღეში ვერ გავბედავდით ტუგიას წყენას. სანახავად მოსულიყო, ჩვენი სტუმარი იყო, და ჩვენ, როგორც ზრდილობიანი ახალგაზრდა ხალხი, სიტყვის გადაკვრითაც კი არ ვაგრძნობინებდით, რომ არ გვესიამოვნებოდა მისი მოსვლა — არ ჩავაყენებდით უხერხულ მდგომარეობაში.

მგონია მივალწიეთ კიდევ მიზანსა. ჩვენი სტუმარი, როდი იყო დარცხვენით, ჩვენზე უკეთა გრძნობდა თავსა, გული გულის ალოგასა ჰქონდა. დიდი ყურადღება არ მიუქცევია ჩვენ ფარისევლურ მისალმებისათვის, კეთილშობილური ცხოველი ჯორჯის ფეხებზე უფრო მიიზიდა, სანამ სხვა რამემ. ჯორჯს, როგორც მახსოვს, ძალიან მოჰქონდა თავი

თავისი ფეხებით; მე კი ისეთას არას ვხედავდი შიგა; გასაბლინძებელი არა იყო რა; ჯორჯის ფეხების სიტლანქე ყოველთვის მაოცებდა მე. ჩვენი ბულდოგი კი ძალიან მოიხიბლა ამ ფეხებით, მიუახლოვდა და კაი მცოდნე ადამიანივით დაუწყო სინჯვა, გეგონე ბოდათ, ეს არის ეხლა იპოვა თავისი იდეალიო. როცა სინჯვა გაათავა, (ცხადათ შევამჩნიე) ჩაიციანა.

ლამაზი ქალივით მორიდებული და მორცხვი ჯორჯი ძალიან გაწითლდა და ფეხებიანად სკამზე შესკუბდა; შემდეგ კიდევ, როცა ბულდოგმა უკან გამოკიდება დაუპირა, მაგიდის შუა ალაგას მოიკალათა, ფეხები წინ დაიწყო და ნიკაპი მუხლებს მიაყრდნო.

რაკი ჯორჯის ფეხებით ვერ ისარგებლა, ახლა ჩემებს მომართა ბულდოგმა; მეც, რალა თქმა უნდა, მაგიდას მივმართე და ჯორჯს მოუჯექი გვერდით.

ფეხებიანათ ერთფეხიან მაგიდაზე ჯდომა საძნელო საქმეთ მოგვეჩვენა მე და ჯორჯს: არ ვიყავით შეჩვეული ამგვარ ვარჯიშობას. სახითათო მდგომარეობაში ჩავცვივდით. აშკარად ვგრძობდით ამას, მაგრამ მაინც არ გვინდოდა ვისთვისმე დაგვეძახა საშველად და მთელი ოჯახი დაგვეფეთიანებინა, თაემოყვარე ჭაბუკები ვიყავით და გვეშინოდა ღირსება არ დაგვეკარგოდა ამ, რაც გინდა იყოს, ჩვენთვის უცხო არსების თვალში, ჩვენი ქცევით.

ასე ნახევარ საათი ვისხედით ჩუმად. ძალღი მახლობელ სკამიდან გვიცქეროდა საყვედურის თვალთ და გვთანგავდა. ყოველ ჩვენ განძრევაზე დიდ კმაყოფილებას აცხადებდა, ეგონა, მაგიდიდან ვაპირობთ ჩამოსვლასაო.

გაიარა ნახევარ საათმა და დავიწყეთ თათბირი „ჰა, ჭკუას ახლოს არ იქნება, რომ ვცადოთო“, ვუთხარით ერთმანეთს; მაგრამ ვერ გავბედეთ.

თავის დღეში არ უნდა აპრიო ერთმანეთში, უგუნური სიმამაცე და გამბედაობაო, სთქვა ჯორჯმა; გამბედაობაო, განაგრძო ისევ ჯორჯმა, რომელსაც აფორიზმებით ლაპარაკის ნიჭი ჰქონდა, — გამბედაობა დავაყვაცებულ ადამიანის სიბრძნეა, უგუნური სიმამაცე კიდევ დამთხვეულ ჭაბუკის საქმეო. სანამ ეს ძალღი აქ არის, მანამ რომ მაგიდიდან ჩამოვიდეთ, განმარტა ჩემმა ძმობილმა, ეგ იმას ჰნიშნავს, აშკარად დავამტკიცოთ ჩვენი დამთხვეულობაო. რალა თქმა უნდა, ამ სიტყვების შემდეგ ველარ გავბედავდით მაგიდიდან ჩამოსვლას.

საათზე მეტი ვისხედით კიდევ, მერე კი ზიზღი გამოვუცხადეთ სიკვდილს, აღარ დავუგდეთ ყური ბრძნულ გულის ხმას და ვცადეთ ბედი — ავაზაკ-

ბულდოგს სუფრა მოვაგდეთ ზემოდან, ვეცით კარებსა და გავარდით გარედ.

დილით ვეახელით ჩვენ მოხუცებულ დიასახლისს და ვუსაყვედურეთ დაუდევრობა, რომლის წყალობით გარეული მხეცი დაჰპატრონებოდა უფაქსა; ამასთანავე მოკლედ ავუწერეთ ჩვენი ცოტა არ იყოს სისწორეს მოკლებული თავგადასავალი.

ჩვენ ქალურ ნაზ თანაგრძობას მოველოდით, მოხუცებულმა კი ერთი გულიანად გაღიხარხარა.

— რაო! ბებერ ბუზერისა შეგეშინდათ? ბებერ ბუზერისა! წამოიძახა დიასახლისმა: ღმერთი არა გაქვთ? რას ამბობთ, ბუზერი ბუზსაც კი ვერ აწყენებს! ერთი კბილიც არა აქვს პირში სულ კოვზით ვკვებავთ ხოლმე; საწყალს ველარაფერი შეუძლიან უძღურებისა გამო და ჩვენი კატისაგან სიცოცხლე საკმაოდ აქვს გამწარებული. ალბად თუ უნდოდა, რომ ხელი გადაგესვათ — დაჩვეულია ალერსსა.

რაც გინდათ სთქვით და ჩვენ კი იმ სამგლემ სრული ერთი საათი გვაკანკალა მაგიდაზე ცივ ლამეში უფეხსაცმელოდ.

მეორედ ბულდოგი ბიძა-ჩემის სახლში გავიცანი. ერთ კაი ნაცნობს ეჩუქებინა ძიასათვის ჯერ ისევ ახალგაზრდა ძალღი, ჩინებული ბულდოგიაო, ექო თვითონ მჩუქებელს — მხოლოდ ერთი რამ აკლია, რიგიანად არ არის გაწრთენილიო. ბიძა ჩემს თუმცა იმედნი არა ესმოდა რა ბულდოგების წრთენისა, მაგრამ ეთქვა: აქ საძნელო არფერი იქნება-რაო, მადლობა გადაეხადნა მეგობრისათვის და წამოეთრია თოკით სახლში ძღვენი.

მაღე, ერთი საათის უკან ძალღის დაბინავების შემდეგ, ბიძა ჩემს ძალუა ჩემი შემოეჭრა სამუშაო ოთახში.

— იქნებ ამასთან ერთ ჭერ ქვეშ აპირობ ცხოვრებას? — ჰკითხა გაბრაზებულმა ქმარსა და მიუთითა ბულდოგზე, რომელიც უკან შემოჰყვა ტუტუცური კმაყოფილების გამომმეტყველი საბით.

— ამასთან! — წამოიძახა ბიძა-ჩემმა, — მერე და, ეს ხომ ჩინებული ძალღია! შარშან არ იყო, რომ აკვარიუმში მაგის მამის ჯიში აქვს, რას ლაპარაკობ!

— არა მგონია, შვილი ეღირსოს აგეთ ქებას ჩვენს უბანში. — უპასუხა გამწარებულმა ძალუამ. გინდა გაიგო, რა ამბავია? ჰა ჰა, ეს არის ეხლა ქალბატონის მაკ-სლენჯერის საწყალი კატა დაგლიჯა-გარედ ეხლა ნამდვილი ზედახორაა!

— არ შეიძლება, რომ როგორმე მიჩქალოთ საქმე? — გადუკრა ბიძა ჩემმა.

— მიჩქმალეო! — წამოიძახა ძალუამ, — ერთი გენახა, რა აყალ-მაყალი იყო, და მაშინ აგრე აღარ იჯდებოდი აქა და სისულელეს არ დაროშავდი!

— თუ გამიგონებ, — დაუმატა ძალუამ, მე გირჩევ ეხლავე შეუდგე მაგის წვრთნასა, სანამ აღარ დაღუპულა კიდევ ვისიმე ადამიანური სული.

ბიძა ჩემი მოუცლელად იყო და არ შეეძლო ძაღლის წვრთნისათვის ხელი მოეკიდა, ერთი ისღა დარჩენოდა, ძაღლი არ გაეშვა სახლიდან.

ბევრი დავიდარბა დაატეხა ბიძა-ჩემს თავსა ამ ძაღლმა. რომ ითქვას, ბოროტი გულისა იყო ეს სულდგმულიო, ეგ არ შეიძლება. პირიქით მუდამ პატიოსნური წადილის ზეგავლენით მოქმედებდა, თავის მოვალეობის ასრულებას ესწრაფოდა. მაგრამ ერთი რამ ცუდი ზნე სჭირდა — მეტის-მეტი ერთგული იყო. მოქმედების ძლიერი წყურვილი ჰქონდა, გადაქარბებული და თითქმის შემცდარი წარმოდგენა ჰქონდა თავის მოვალეობაზე და პასუხისმგებლობაზე.

ასე ეგონა, მე იმ მიზნისათვისა ვარ აქ მოყვანილი, რომ არც უნდა მოუშვა რომელიმე ცოცხალი არსება სახლთან ახლოსა და არც უნდა გაუშვა სახლიდან, თუ რომელიმე შიგ მოჰყვავა.

ვცდილობდით როგორმე ჩავვეგონებინა ბუღლოვისათვის, რომ უფრო ნაკლები მაღალი თვალსაზრისით შეეხედნა თავის მოვალეობისათვის, მაგრამ ამაოდ. საკუთარი შემუშავებული შეხედულება ჰქონდა თავის მიწიერ დანიშნულებაზე და, ჩვენის აზრით, გადამეტებულის კეთილ სინდისიერებით ექცეოდა თავის რწმენას ცხოვრებაში.

ისე ძალიან დაშინდნენ ამ ძაღლისაგან ჩვენთან მოსიარულე მედუქნეები, რომ ჭიშკართანაც კი ვეღარ ჰბედავდნენ მოახლოვებას — მოტანილ საქონელს ჩვენი ბალის ღობეზე ისროდნენ. ჩვენც რა მეტი ჩარა გვქონდა, ძირიდან ვკრეფდით საჭირო საგნებს და ისე შეგვქონდა სახლში.

— აბა ერთი გაირბინე ბაღში, — უთქვამს ხშირად ძალუა ჩემს ჩემთვის (ამ დროს მეც ბიძა ჩემის სახლში ვცხოვრობდი), — ერთი ნახე, შაქარი ხომ არ არის იქ სადმე? ვარდის ბუჩქის ძირში გდია, მგონი. თუ ვერა ნახო, წადი და ჯონს შეუკვეთევი.

ან კიდევ როცა მზარეული დედაკაცი შეჰკითხებია, რა მოვამზადო საუზმედაო, ასეთი პასუხი გაუცია:

— ღმერთმანი, ჯენ, მე თვითონაც არ ვიცი, რა გვაქვს! დაიცა რა იყო, რომ ვნახე ბაღში! მგონი

ნი ცხვრის ფერდს მოვკარი თვალი. აბა გახედე აგე იმ პატარა ველზე რა გდია? ძროხის ხორცი ხომ არ არის?

ერთ დღეს მეთუნუქეები მოვიდნენ, უნდა სამზარეულოს ქვაბი დაეკერებინათ. მძღველთაგანს სახლის მეორე თავს ფოსტალიონს აძევებდა და ვერ შეენიშნა ახალი სტუმრების მოსვლა. გული მოუკვდა, როცა ძირს ჩაიოვიდა და ნახა მეთუნუქეები; როგორც ეტყობოდა თავის დაუდევრობისაგან ნაწყენი დარჩა. ასე იყო თუ ისე, რალას იზამდა, მეთუნუქეები უკვე სახლში იყვნენ, ერთი ღა დარჩენოდა, ყოველნაირი ღონე ეხმარა და გარედ აღარ გაეშვა სტუმრები.

სულ სამნი იყვნენ ახალ მოსულები (აგრეა, უბრალო საქმეც რომ იყოს გასაკეთებელი, უთუოდ სამი მეთუნუქე აუცილებელია, პირველი მოდის და გიცხადებთ, საცა მეორე გაჩნდებაო, მეორე მოდის და გეუბნება, არა მცალიანო; მესამე კიდევ მოდის და გეკითხება, იყო თუ არა პირველიო) სრული ხუთი საათი ჰყავდა მომწყვდეული ერთგულს პირუტყვს მეთუნუქეები სამზარეულოში! ნეტავ რა თავში მოსასვლელი იყო მეთუნუქეების დიდხნით სახლში გაჩერება, როცა საქმე არ მოითხოვდა). სანამ ძია არ მოვიდა, ტყვეებს ვერა ეშვებოდათ. წარდგენილ ანგარაშში კი ეწერა: „მე და ორი კაცი; ექვსი საათის სამუშაო; ქვაბის დაკერება — 18 შილინგი, მასალა — 2 პენსი; სულ 18 შილინგი და 2 პენსი“.

მოსვლისათანავე ძაღლმა ჩვენი მზარეული დედაკაცი აითვალწუნა. ჩვენ, უნდა გამოგიტყდეთ, საწინააღმდეგო არა გვქონდარა ამისი — უსიამოვნო ბებერი იყო, ეს ადამიანი და არ გვიყვარდა. მალე ბუღლოგმა აღარ შეუშვა დედა-კაცი სამზარეულოში; საქმეები აუსრულებელი რჩებოდა, ბიძა ჩემი და ძალუა იძულებული გახდნენ თვითონ ეზადებინათ სადილი ხელზე-მოსამსახურე გოგოს დახმარებით. გოგო ძალიან კეთილი იყო, მაგრამ გამოცდილება აკლდა. საქმე გაჭირდა; მეტის-მეტობა დაგვემართა, ბიძა ჩემმა ვეღარ მოითმინა და გადასწყვიტა დაუყონებლივ შესდგომოდა ძაღლის წრთვნასა. მიმართა მეზობელს რჩევისათვის, უნდა გაეგო, როგორ დაეწყო საქმე. მეზობელი ყოველნაირ ასპარეზობის მცოდნეთ სთვლიდა თავის თავსა.

— ჰო, დიახ, — მოახსენა ბიძაჩემს ღიმილით — ძაღლის გაწრთვნა სულ უბრალო საქმეა! ცოტა მეტი მოთმინება და გათავდა!

— ოო, რასაკვირველია? — უპასუხა ძიამ. — იმა-

ზე მეტი მოთმინება რაღად მომინდება, რამდენიც დამჭირდა გაუწრთვინელ ბულდოგთან ერთ ჭერ ქვეშ ცხოვრების დროს. აბა, მითხარით, როგორ უნდა მოვიქცე?

— ეხლავე გეტყვით—წარმოსთქვა მეზობელმა. —თქვენ შეიყვანეთ ძაღლი ისეთ ოთახში, რომელშია ცოტა ავეჯეულება იქნება და გადაკეტეთ კარი.

— ეგ აგრე! მერე?—სთქვა ძიამ.

— მერე დააყენეთ ოთახის შუა გულში იატაკზე, დაუჩოქეთ წინ მუხლებზე და დაუწყეთ გალიზიანება.

— ჰო!

— დიახ, იქამდე აღიზიანეთ, სანამდე სრულიად არ გააფთრდება.

— რასაც, როგორც მე ამ ძაღლს ვიცნობ, დიდი ხანი არ მოუნდება, —წაილაპარაკა ჩაფიქრებულმა ბიძაჩემმა.

— ეგ უკეთესი! როცა გააფთრდება, მაშინვე ზედ გეცემათ.

ძიაც დაეთანხმა ამ მოსაზრებას, არ აუხიბდა.

— ყანყრატოში დააპირებს მოვარდნას, —განაგრძობდა თავისას მეზობელი. —თქვენ უნდა ეცადოთ, მოიგერიოთ, როცა გეცემათ; სანამ თქვენ მოგწვდებათ, უნდა ერთი კარგი მუშტი სთხლიშოთ შიგ ცხვირში და ძირს დასცეთ.

— დიახ, აგრეა, მესმის თქვენი აზრი!

— აი, სწორედ რომ აგრეა! მერე, როცა ძირს არ დასცემთ, წამოვარდება ზეზე და ისევ გეცემათ; თქვენ კიდევ ხელმეორედ დასცემთ ძირსა! წამოვარდება კიდევ ზეზე, თქვენც კიდევ სდებთ ცხვირში და გააგორებთ; და ასე იმდენი უნდა არტყათ ცხვირში, იმდენი, იმდენი, იმდენი, რომ სრულიად დაოსდეს და დაშოშმინდეს. როცა არ დაშოშმინდება, საქმეც გააავდება მაშინ — ძაღლი ბატკანივით წყნარი იქნება!

— ჰო! — სთქვა ძიამ. — მერე კარგი საშუალება გგონიათ თქვენ ეგა?

— უეჭველად, უეჭველად, უპასუხა მეზობელმა — ეს საშუალება უებარია.

— მე ეჭვიც არ შემომამქვს მაგაში, — სთქვა ძიამ: — მე მხოლოდ ერთი აზრი მომივიდა თავში. იცით, რა, მოდით თქვენ დათანხმდით და შემოიარეთ ჩემთან, თქვენ უფრო კარგად იცით ეს საქმე და თქვენვე სცადეთ თქვენი საშუალება ჩემ ძაღლზე. ოთახს მოგცემთ; როგორც გინდათ ისე მოიხმარეთ. მე კიდევ თავდარიგს დავიჭერ, რომ ხელი

არავინ შეგიშალოთ. თუ კი, — ეუბნებოდა ბიძაჩემი ჩაფიქრებული, უწყინარი კილოთი (ესე იცოდა როცა სხვას ვისმეს ელაპარაკებოდა), — თუ კი როგორმე მაინც ვერ მოასწარით და ვერ მოხდებოდა — ფროზე ძაღლსა, თუ თქვენ უფრო დადრე დაშოშმინდით სანამ ძაღლი, ძალიანაც დარდს ნუ გასწევთ, ხარჯს თქვენ დასაფლავებაზე მე ვიკისრებ. იმედი მაქვს, გჯერათ, რომ ყველაფერი რიგზე და გემოზე გაკეთდება! — დაათავა ასე სიტყვა ძიამ და მოშორდა მეზობელს.

ზევით აწერილი წრთვნის მეთოდი ყასაბს ვუამბეთ. მოისმინა თუ არა ყველაფერი, სისულელეაო, სთქვა აბა როგორ შეიძლება აგეთი საშუალება ვურჩიოთ ოჯახის პატრონს ხნიან კაცსა, რომელსაც გულის ფრიალი აქვსო. მისი აზრით უმჯობესი იქნებოდა, თუ ძაღლი სუფთა ჰაერზე ივარჯიშებდა ძიას ხელქვეითობით.

— იშოვეთ კარგი ჯაჭვი ან თოკი, — სთქვა ყასაბმა, — და ყოველდღე არბენით. ისე უნდა დაანახვოთ თავი, რომ თქვენს მეტი არავინ აგონდებოდეს; სახლში სულ ღონემიხდილი უნდა მოიყვანოთ ხოლმე. ერთი ორი თვე მოეპყარით ამგვარად და ბავშვზე უწყინარ არსებად გადაიქცევა.

— მჰ! მგონია, მაგნაირ საშუალებით უფრო საქმე გავიჭირო, ვიდრე სხვა რაიმეთი, — წაიბურტყუნა ძიამ, მერე კი მადლობა მოახსენა ყასაბს რჩევისათვის და გამოვიდა დუქნიდან. — მაგრამ მოდი ვცადოთ, — სთქვა თავისთვის ძიამ. ნეტა რა ღმერთი გამიწყრა რომ ეს წყეული ძაღლი ავიკიდე!

ბიძაჩემი შეუდგა ყასაბის მეთოდით ძაღლის წვრთნას: ყოველ საღამოობით გაჰყავდა თოკით წყნარ სახლიდან და ცდილობდა როგორმე მოეჩანცნა, მაგრამ ამაოდ. ძაღლი მუდამ უფრო გამხიარულებული და გამოცოცხლებული ბრუნდებოდა სახლში. ქანც გამოღეული ბიძაჩემი კი ძლივსღა მოათრევდა ხოლმე ფეხებს და მოსვლისთანავე ხარბად ეწაფებოდა არაყს, დაფანტულ ძაღლების მოსაკრებად.

ერთ დღეს ძიამ გამოტყდა და გვითხრა: თავის დღეში არ მეგონა, რომ პროზით სავსე მეცხრამეტე საუკუნეში ამდენს ღელვას განვიცდიდი და მერე ისიც როდის, ახლა, ძაღლის წრთვნის დროსაო.

ძაღლის მხიარულ ოინებს საზღვარი არა, ჰქონდა მინდვრად. ხშირად მომხდარა წაუფლია ბიძაჩემს თოკზე ხელი ძაღლისთვის და გაუყვანია სასეირნოდ. ძაღლი მერცხალს გამოჰკიდებია, გაუტაცნია თან ბიძაჩემიც და სულ თავპირი უმტვრევინებია საწყალ ადამიანისათვის.

ბევრჯელ სცემია ძროხას და დაგლეჯა დაუბირებია, მაგრამ თვითონ ძროხაც მაგრა დახდომია და დაუწყვია რჩოლა. უხტუნვიათ ორივეს ძიას გარშემო, ხან ერთი ცდილა თავისას, ხან მეორე!

ყოფილა შემთხვევა ძალლი დახვევია თოკით, რომელიმე მოხუცებულ ლედის და გადუქცევია. ბიძაჩემი კიდევ ჩაცუცქებულია გზაზე მტვერში, გამოუხსნია ვაინაჩრობით თოკი და ძლივს-ძლიობით წამოუყენებია ლედი ფეხზე.

ბოლოს საქმე ასე გათავდა. ერთ შაბათს დღეს სადილთ უკან, გზაზე ვილაცის ნერვიული ბავშვები თამაშობდნენ. ძიას გამოეყვანა გარეთ ძალლი და სწვრთნიდა ჩვეულებისამებრ. ბავშვებმა დაინახეს ძალლი და წივილ-კივილით გაიქცნენ. გამხიარულებულმა ძალლმა ნადირად მიიღო ყველანი, გამოუსხლტა ძიას ხელადან და გამოუდგა უკან. დაედევნა ძიაც: ხან რა სახელი დაუძახა და ხან რა ძალლსა, მაგრამ სულ ამაოდ, ვერ გამოაბრუნა. დაინახეს მოსიყვარულე მშობლებმა, რომ მათ საყვარელს შვილებს გადარეული ძალლი გამოსდგომია და უკან კიდევ ძალლს დაუდევარი პატრონი გამოჰკიდებია, და აურ-ზაური ასტეხეს.

ასდევნებთან მშობლები ბიძაჩემსა, ეძახიან ათასნაირ სახელებს; გამოდიან სახლებიდან მცხოვრებლებიც, სირცხვილიო, უყვირიან ძიას და ხან რას ესვრიან ძალლსა და ხან რასა. რაც ძალლს ასცდება ის ბიძაჩემსა ხვდება, რაც ბიძაჩემს არა ხვდება, ის მოსიყვარულე მშობლებს არა სცდებათ. მიჰქრიან ყველანი ქალაქზე, გორაკაზე, ხიდზე, მინდორში. მიღ-ნახევარი მანძილი გაირბინეს უსვენებლივ! ძალღამოლეული ბავშვები ეკემიან ძირსა. ძალლი თავს ახტებათ; ბავშვებს ისტერიკა ემართებათ; მოსიყვარულე მშობლები და ბიძაჩემი ერთმანეთსა ხვდებიან; ორივე მხარე ძლივსლა ითქვამს სულსა.

— რატომ არ მოაშორე ძალლი შე ავო ბებრო?

— იმიტომ, რომ სახელი დამავიწყდა, შე გამობენტერებულო შენა!

მოსიყვარულე მშობლები ეუბნებიან ძიას, ძალლი შენ დაუქსიეო; ძია ცხარობს და ლანძღავს მოსიყვარულე მშობლებს. მოსიყვარულე მშობლები იწევენ ბიძაჩემზე; ბიძაჩემი ქოლგით იგერიებს; ერთგული ძალლი ეშველება ძიას და დიდ ზარალს აყენებს მოსიყვარულე მშობლებს. ჩნდება ახლა პოლიცია და მიჰყავს დასამწყვდევათ ძია და მოსიყვარულე მშობლები. ბიძაჩემს აჯარიმებენ ხუთი გირვანქით, მოსიყვარულე მშობლებზე დაცემისა-

თვის და ხუთი გირვანქით კიდევ პოლიციელებზე გაწევისათვის.

მაღე მოიშორა ამის შემდეგ ძიამ ძალლი/ ვერ მოახერხა მისი გაწვრთნა და პირი სანახევოდ მიართვა ქორწილში ერთ ნათესავ ქალს.

მაგრამ ყველაზე სამწუხარო ამბავი რომლის მსგავსიც თავის დღეში არ მსმენია ძალუა ჩემმა გადმომცა. ამ ამბავში ეჭვიც არ უნდა შეგებაართ— ძალუა ჩემს ეკუთვნის; ძალუას ტყუილი ეჯავრება. ეს ისტორია კერბთაყვანისმცემლებს რომ უამბოთ არას წააგებთ; მაშინვე იგრმნობს, რომ ქეშმარიტებას ასწავლით და სიკეთესა სთესავთ. ამ ისტორიას ჩვენი არე-მარის ყველა კვირეულ სკოლაში ასწავლიან. ზნეობრივ გაკვეთილების დაუშრეტელ წყაროთა აქვთ გადაქცეული. ამ ისტორიას პაწია ბავშვიც კი დაიჯერებს.

ეს ამბავი იმ დალოცვილ დროს მოხდა, როცა ჯერ კიდევ ხაბარდას ატარებდნენ. ძალუაჩემი მაშინ პროვინციალურ ქალაქში სცხოვრობდა., ერთ დილით გამოსულა თურმე სავაჭროსათვის, გაჩერებულა გაიდსტრიტის ქუჩაზე და დაუწყვია მასლაათი მეგობარ ქალთან, დოქტორ გემვარტის ცოლთან. ძალუას იმ დღეს ახალი ხაბარდა სცმია. ძალიან მოსწონდა თურმე, როგორც თვითონ გადმომცა, თავის ხაბარდა. უშველებელი ყოფილა, თითქმის ისეთი უდრეკი, როგორც მავთულის ღობე და საოცრად უხდებოდა კიდევ თურმე ძალუაჩემს.

ორივე ქალი მემაუდე ჯენკინსკის დუქნას წინ მდგარა. ძალუას, როგორც თვითონ ფიქრობს, ხაბარდა ცოტა მაღლა ჰქონია წამოწეული, ისე რომ მიწამდე ცოტა თავისუფალი სივრცე კიდევ ყოფილა დატოვებული. იქვე ახლოს იმ დროს უზარმაზარი და ღონიერი ბუღდოგი ტრიალებდა თურმე. როგორღაც ძალლს თავი ამოეყო ხაბარდას ქვეშ და ტყვედ ჩაჰვარდნოდა ძალუაჩემს ხელში.

რაკი ძალლი უცბად ბნელ და ვიწრო სივრცეში მოხვედრილა, შეჰშინებია (რაც რასაკვირველია ბუნებრივია), გადარეულა და აქეთ-იქით დაუწყვია წევა. მაგრამ რომელ მხრიდანაც კი ცდილა თავის დახსნას, ყველგან ხაბარდა დაჰხვედრია. საითაც კი ძალლი დასტაკებია ხაბარდას, ძალუაც იქით გაქანებულა.

ვერავინ მიხვედრილა მიხეხს. თვითონ ძალუამაც არ იცოდა, რა ამბავი იყო მის თავსა. ხალხს თვალწინ წარმოუდგა საპატიო ხანშიშესული ქალი, რომელმაც უცბად და ყოვლად უმიხეზოდ

დაადგო გზაზე ქოლგა და ისეთი სისწრაფით გაე-  
ქანა გაიდსტრიტზე, რომ ადამიანს ეგონებოდა,  
ერთს საათში ათ მილს გაივლიყო. ქალი განსაც-  
დელში ჩავარდა: გადაიბრინა ქუჩა, მერე უკან გა-  
მოიქცა ქუჩის მეორე მხარის გაყოლიება, წამოვიდა  
გვერდ-გვერდ, თითქოს გაჯავრებული კიბორჩხალა  
იყოსო, შეიქრა რომელიღაც მეჭურჭლის დუქანში,  
სამჯერ შამოურბინა გარსა და რაც კი მოხვდა  
გზაში, ყველაფერი ძირს დასცა, შემდეგ გამოიქრა  
ისევ გარედ, უკან-უკან წავიდა, დასცა ძირს ფოს-  
ტალიონი, გაექანა გზა-გზა, ორჯერ შემოტრიალდა  
ერთ ადგილას, შეჩერდა ერთ წუთას ტროტუარის  
მაჯნასთან, და შემდეგ თითქოს ძაღვები მოიკრიბაო,  
გაექანა გორისაკენ. მთელ ამ ხნის განმავლობაში  
ქალი წიოდა თურმე და იხვეწებოდა შველიასა.

რალა თქმა უნდა, ყველას ისე ეგონა, ქკუაზე  
შეიშალაო. ხალხი თითქოს ქარი ჩალას მიაქა-  
ნებსო, ისეთი სისწრაფით გაურბოდა ქალსა.  
ხუთ წამში, არა, გაცილებით უფრო ნაკლებ ხანში,  
მთელი გაი-სტრსტი დაცარიელდა, მცხოვრებლები  
დუქნებსა და სახლებში შეცვივდნენ და ჩახერგეს  
კარებები. უფრო გამბედავნი გამოდიოდნენ სწრა-  
ფად გარედ იტაცებდნენ ბავშვებს, რომლებიც ქუ-  
ჩაში დარჩენილიყვნენ და მიჰყავდათ უშიშარ ად-  
გილას, მეურმეები და მეეტლეები ფარნის ბოძებზე  
აფოფხდნენ და ურმები და ეტლები ბედის ანაბა-  
რა დასტოვეს.

რას მეტყვით, რა მოხდებოდა, რომ ეს ასე  
გაგრძელებულიყო? მე კი მგონია, რომ თოფს ეს-  
როდნენ ძალუაჩემს ან კიდევ ცეცხლის საქრობელი  
მილით წყალში ამოლოუმპავდნენ—გულზე მოსულ  
ხალხისაგან ყველაფერი მოსალოდნელია. თავისდა  
საბედნიეროდ ძალუაჩემს ძალა გამოლოდა, გან-  
წირულის წივილით გაეხამხამებინა ხელები და დას-  
ჯდომოდა ძაღლსა ზედა. ამის უკან თურმე ისევ  
დამშვიდებულა მიყრუებული ქალაქი.

ირ. სონღულაშვილი.

## გ ა ზ ე თ ე ბ ი დ ა ნ

„ნ. დურნოვო და მიწის მობილიზაცია საქარ-  
თველოში“

„სანკტ—პეტერბურგსკია ვედომოსტის“ 19  
მაისის ნომერში ამ სათაურით ნ. დურნოვოს წერი-

ლია დაბეჭდილი. შინაარსი ამ წერილისა მრავალი  
მხრითაა საგულისხმო და ამისათვის მოგვყავს იგი.

„საქართველოში. სწერს პატივცემული ნ.  
დურნოვო, ნამეტნავად მის დასავლეთში, ნამწილში,  
დასასახლებლად გამოსადევარი მიწა ძლიერ ცოტაა.  
ბევრია იქ ისეთი ქართველი გლეხი, რომელსაც  
მეოთხედი დესეტინა მიწის მეტი არაფერი გააჩნია.  
რაც შეეხება დაბალ სამღვდელოებას, ის ამ მეოთ-  
ხედ დესეტინასაც მოკლებულია. სამაგიეროდ ბევ-  
რი მიწა აქვთ რუსეთიდან გადმოსახლებულებს,  
ამათ თითოეულ სულზე ათი დესეტინა მიწა მოუ-  
წევს. ამათ დასახლების დროსაც დიდად ეხმარები-  
ან: ურიგებენ იარაღს უიარაღო ქართველებისაგან  
თავის დასაცავად, ეუბნებიან, გარშემო მტერი გარ-  
ტყიაო. თუ მოვიგონებთ პავლე და ალექსანდრე  
პირველთა მანიფესტს ქართველი ხალხის მიმართ,  
რა ითქმის მაშინ გადასახლების ამგვარი სისტემის  
შესახებ?

რისთვის უნდა წავართვათ ჩვენ მამული ქარ-  
თველ ხალხს და დავასახლოთ იქ რუსები, როდეს-  
აც ეს რუსები მაშმადიანთა შემოსევის დროს ქარ-  
თველთა მამულს ვერ დაიცივენ. მოვა დრო და რუ-  
სი შოვინისტების, „ინოროდცებში“ მძულვარების  
დათესვის სისტემას ყველა გაიგებს.

რამდენად მეტად შევავიწროვებთ „ინოროდ-  
ცებს,“ იმდენად უფრო გამაგრდებიან ისინი, და  
სადაც შესაძლებელი იქნება რუსთა წინააღმდეგ  
შეერთდებიან კიდევ. ამის მაგალითებს თურქის-  
ტანსა, ციმბირსა და სხვა განაპირა ქვეყანაში ვხე-  
დავთ. ქართველები და მალდავანები კი არ ავიწ-  
როებენ რუსებს, არამედ პოლონელები, გერმანე-  
ლები, ფინლანდიელები და სხვანი.

წინად, ჩვენ ვფიქობდით, რომ კავკასიის მხა-  
რეს ქართველები იცავდნენ და მფარველობდნენ და  
არც ვცდებოდით.

ახლა ამ მხრის დამცველებად ის რუსი გლე-  
ხები მიგვაჩნია, რომელთაც დასტოვეს თავისი მამუ-  
ლი, სამშობლო და კავკასიაში გადასახლდნენ. ასე-  
თი გლეხები საქართველოში დიდხანს ვერ დარჩე-  
ბიან: ისინი მალე წავლენ ისე, როგორც წავიდნენ  
საქართველოდან ამერიკაში რუსი მოლოკანები და  
დუხობორები.

გადასახლებულ რუს გლეხებზე რუსი ნაციო-  
ნალისტები ერთობ დიდ იმედებს ამყარებენ. არსად  
და არა დროს რუსი გლეხი სხვისი გამარუსებელი  
არ ყოფილა. და თუ „ინოროდცებით“ რუსთა  
ნაცია გაძლიერდა ეს რუსეთის კულტუროსნობით  
აიხსნება.

ამ უამად საქართველოში ქართველი იძულებული ხდება, მტრულად შეხედოს იმათ, ვინც დაინარჩუნა ის მამული, რომელი მამულიც ქართველთა სისხლითაა მორწყული და მათი წინაპართა ძვლებით ავსებული.

რა უნდა ვსთქვათ ნაციონალისტთა, გონებრივი განვითარების მხრით უმწეოთა ამგვარ მუშაობაზე? საით მიჰყავთ მათ რუსეთი? რისთვის უნდათ ძმათა შორის შუღლისა და კიშპობის დათესვა?

საქართველოში ახლა გარდა რუსებისა, პოლონელები და სომხებიც ბევრია. ქართველი თავად-აზნაურობა გაღარიბდა. სამღვდელოებასა და ხალხს კიდევ უარესი დაემართა. ცხოვრება რამდენად მძიმე შეიქნება ქართველთათვის იმდენად მეტად გაძლიერდება მათში სამშობლოსადმი სიყვარული. ქართველთა ნაცია მაგრდება, ძლიერდება და იგი არასოდეს არ მოკვდება.

(„იმერეთი“).

**მომხმარებელი ამხანაგობა.**

ბევრი ხანია სიღნაღში აღიძრა კითხვა მომხმარებელ ამხანაგობის დაარსებისა.

ბევრის ლაპარაკის შემდეგ, როგორც სჩანს, სიტყვის საქმედ გადაქცევას შეუდგნენ. უკვე სია დადის და ეწერებიან. დანიშნეს პაი 10 მან. პირველი შესატანი 3 მან.

ბევრს მსურველს 10 და უფრო მეტი პაის სყიდვა მოუსურვებია.

უკვე პირველსავე დღეს სამოცი თუმნის პაიზე მოუწერიათ ხელი.

იმედია, რომ ეს საქმე მალე განხორციელდება. მით უმეტეს, რომ, როგორც გავიგეთ, სათავეში უდკებიან შეძლებული პირნი, რომელნიც კისრულობენ ქონებრივ პასუხის გებას.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ მომხმარებელი ამხანაგობა ახალ სიღნაღის მაზრის სასოფლო სამეურნეო ამხანაგობას უნდა დაუკავშირდეს.

უმთავრესი საწყობი უნდა სიღნაღში გაიმართოს, მხოლოდ სოფლის ბანკებთან განყოფილება გაიხსნას.

ჯერ-ჯერობით მარტო იმგვარი საგნები და მასალა უნდა იქონიონ საწყობში, რომელიც ადვილად არ გაფუჭდება. გარდა ამისა საჭიროა, რომ ყველა საქმეში მომუშავენი ჯამაგირებზე კი არ მუშაობდნენ, არამედ მოგებიდან უნდა ჰქონდეთ დანიშნული—განსაზღვრული %.

ჩვენ ამ კითხვას არა ერთხელ კიდევ დავუბ-

რუნდებნთ, ესლა მხოლოდ მოვიწვევთ ყოველს შეგნებულს მოქალაქეს და სოფლის მეურნეს, ჩაეწერნენ ამ საზოგადოებაში წევრად და რაც შეიძლება, მეტი საწევრო პაი გაასაღონ. რამდენიმე რაც მეტი თანხა შესუდება, მით უფრო მეტად და სასარგებლოდ განხორციელდება ეს ფრიად საჭირო დაწესებულება.

(„ხმა კახეთისა“)

**კლესთა კავშირები**

ძნელი წარმოსადგენია თუ როგორ უნდა მოეწყოს ამიერ კავკასიის სასოფლო ბანკების საერთო კავშირი. შეუძლებელიც არის პრაქტიკულად ამ ნაირ უხეშ და არა ბუნებრივ ორგანიზაციის დაარსება.

ამ ორი წლის წინად ამიერ კავკასიის სასოფლო ბანკების წარმომადგენელთა კრებაზედ, რომელთა შორის იყვნენ ქართველები, რუსები, სომხები, თათრები, ეს შეუძლებლობა ნათლად გამოიხატებოდა. თუმცა ყველა წარმომადგენელი რუსულად ლაპარაკობდა, მაგრამ ერთმანეთისა ძალიან ცოტა რამ ესმოდათ ისე განსხვავდებოდა მათი ინტერესები. და თუ გავითვალისწინებთ ყოველ კოოპერატიულ კავშირის ბუნებას ამ განსხვავებას უფრო მარტივად დავინახავთ.

ყოველ კოოპერატიულ კავშირის, დიდისა და პატარასი, მოწყობა გამოწვეულია ხოლმე — გაჭირვებით და სურვილით საერთო ძალით თავის ეკონომიურ ცხოვრების გაუმჯობესებისა. მაგრამ საერთო ძალას მაშინ გამოაქვს ნაყოფი, როცა იგი საერთო ცხოვრების და ეკონომიურ პირობებს შეეგუება, ე. იგი როცა კოოპერატიული ორგანიზაცია აკავშირებს ერთმანეთში ისეთ ხალხს, რომელიც ერთგვარ გაჭირვებას განიცდის, როგორც საერთო ეკონომიურ პირობების ისეთ ადგილობრივ მეურნეობის მხრივ. და მასთან ერთად კოოპერატიული კავშირი უფრო ძლიერია და მკვიდრი, როცა მას წინ საერთო ეროვნული მისწრაფებანიც მიუძღვინ.

ამ მხრივ რა აქვს, მაგალითად, საერთო ერევნელ სომეხს და ქართველ კაცს? რისთვის უნდა შეერთდნენ, ან როგორ, მათი ეკონომიური ორგანიზაციები? რა აქვს საერთო საქართველოს, სათათრეთს ან ერევნის გუბერნიას? არაფერი. ან როგორ

უნდა გააგებინონ ერთმანეთს თავისი სურვილები ქართველმა და სომეხმა გლეხმა?

ამიტომ ამიერ კავკასიის სასოფლო ბანკების საერთო კავშირის ორგანიზაცია სრული აბსურდია.

აბსურდია პრაქტიკის მხრივ, აბსურდია თვით კოოპერატიული ორგანიზაციის იდეის მხრივ.

კოოპერაციის ლოზუნგია: დაიწყე მცირედით და დაამთავრე დიდით.

სადაც ასე არ ეწყობოდა კოოპერაცია იქ ბევრჯელ ფეხიც მოუტეხია.

და ამიერ კავკასიის ვეებერთელა კავშირსაც ეს დღე მოელის.

არ ვიცი რისთვის არის წამოყენებული ამ ნაირ კავშირის მოწყობა? მგონი უფრო გაუგებრობის გამო. არცა მგონია რომ მთავრობამ მხარი დაუჭიროს მას, ათასი თხოვნაც რომ მიართვან თბილისის მაღაკნებმა. იქნება ამაში რომელიმე მთავრობის მოხელე „დიდ სახელმწიფოებრივ პოლიტიკას“ ხედავს? ამაზედ ღიმილით თუ ვუბასუხებთ მას... თუ ზიანს მოუტანს ეს „კავშირი“, მარტო იმას, ვინც, დღემდის ჰკვებავს საკრედიტო კოოპერაციას ამიერ კავკასიაში და ბურჯად ითვლება მთელი იმპერიისა—სახელმწიფო ბანკს, რადგანაც ეს კავშირი მალე ჩაიშლება და ვალებით გაავსებს თვით პატარა სასოფლო ბანკებს. უკანასკნელნი კი იძულებულნი იქნებიან შეამცირონ თავისი ოპერაციები და ბევრნიც დაიკეტონ. შემდეგ წერილში ჩვენ შევხებით გლეხთა სასოფლო ბანკების კავშირების მოწყობას იმისდა მიხედვით, თუ როგორ მოითხოვს მათი ბუნება, ჩვენი ეკონომიკა და თანამედროვე კოოპერატიული მოძრაობაც.

დ. ვაჩნაძე.

### ქართულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებაში

ქართულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებაში მუშაობა დღითიდღე იზრდება და ფართოვდება. მრავალი შეკითხვები, დახმარების თხოვნები, მოხსენებანი ახალ ახალ საჭირობოროტო საკითხებზე ჩვენი მეურნეობის ცხოვრებიდან გარს ახვევია ამ საზოგადოების საბჭოს. კვირა არ გავა, რომ რაიმე ახალი კითხვა არ იყოს წამოყენებული საზოგადოების წინაშე. ქართული სას.-სამეურნეო საზო-

გადოებაც გულმოდგინეთ არჩევს მათ, იკვლევს და შეძლების დაგვარად პასუხსაც იძლევა—<sup>რჩევით, საქ-</sup> მით, დახმარებით. ამ მხრივ საინტერესო იყო უკანასკნელი საბჭოს კრება 29 მაისისა.

საზოგადოების ინსტრუქტორმა <sup>ქახელაძემ</sup> წაიკითხა საინტერესო მოხსენება მერძეობის ამხანაგობის დაარსებაზედ ერწოში (თიანეთის მაზრა). ამას წინად იგი გაგზავნილი იყო საბჭოს მიერ ხსენებულ რაიონში მცხოვრებთა მეურნეობის პირობების გამოსაკვლევად და მათთვის საჭირო დახმარების მოსაწყობად.

„სოფ. ღრელი, ტალადსოფელი, თრანი, მალრანეთი, ივლივი, ნაქალაქარი და სხვა პატარ პატარა ერწოს სოფლები—ამბობს ა. კახელაძე თავის მოხსენებაში,—უმთავრესად მისდევენ საქონლის მოშენებას და მერძეობას. ერწოელები რძის დამუშავებას ძალიან პრიმიტიულად აწარმოებენ: რძეს სდგამენ ორჯამიანებით, ხდიან ნალებს და რამდენიმე დღის მოგროვილს, სდღვებავენ. რადგანაც ნალები მყავდება, ამიტომ კარაქი მყავე და მდარე ღირსებისა გამოდის, რომელიც მხოლოდ ერბოდ გადასაღწობად ვარგა. როცა ა. კახელაძეს მიუქცევია გლეხების ყურადღება მათ გაკეთებულ კარაქის უსუფთაობაზედ, ზოგიერთმა უბასუხა, რომ ჩვენ თუმცა სუფთა კარაქს არ ვამზადებთო, სამაგიეროდ ბევრი გამოდისო, რადგანაც ჩვენ მიერ დამზადებულ კარაქს ცხიმის გარდა „ქუქყიც“ ურევიაო! მაგრამ ამ „არგუმენტებმა“ მოიხარეს თავი, როცა ინსტრუქტორმა კახელაძემ იქვე, თავის სეპარატორის საშუალებით დაუმტკიცა მათ „არგუმენტაციის“ სიყალბე. სეპარატორმა ბევრად მეტი მოამზადა კარაქი და მასთან სუფთაც, ამაში გლეხები ნათლად იქვე დარწმუნდნენ.

რძის ნაშრომის გასაღებაც ერწოში, როგორც სხვა ჩვენი მეურნეობის ნაშრომიც, ჩარჩების ხელშია, რომელნიც ბუზებით ეხვევიან ამ მხარეს. მთელ ერწოს ერბო, კარაქი თიანეთის მოვაჭრე აკოფოვის ხელში ყოფილა, რომელიც აგროეებს მას პატარა ჩარჩების საშუალებით და მერე გზავნის სხვა და სხვა ქალაქებში.

კარაქს ერწოელები მომეტებულად ადგილობრივვე ჰყდიან: ჩარექს (2 1/2 გირვ.) 70—80 კაპ., ნალებ მოხდილი რძისას კი ყველს აკეთებენ, რომელიც ადგილობრივ ჩარექი ფასოვს 20—25 კაპ.

„ბოლოს—ამბობს მოხსენებელი—ჯგუფმა გლეხობისამ გადასწყვიტა წელსვე მოაწყოს პატარა მერძეობის ამხანაგობა სოფ. ივლივში (ამ სოფელს



V. წიგნების ბეჭდვა

I იანვარს 1912 წ. წიგნების დასაბეჭდავად დახარჯული იყო	1455 68
წლის განმავლობაში დაიხარჯა	901 43
მისაღებია წიგნები	<u>2357 06</u>

VI. შემოსავალი

თანხების სარგებელი	298 61
წლიური საწევრო გადასახადი	591 "
შემოწირულობა: ფულად	159 "
" წიგნებად	469 71
შემწეობა თავად-აზნაურობისა	5000 "
" ტფ. სათავ-აზნ. ბანკისა	3000 "
წიგნების შოგება	22 95
დაბრუნებული ხარჯი.	36 76
	<u>9578 03</u>

VII. გასავალი

საკანცელარიო ხარჯი	41 39
სათოსტო	55 01
საექსკურსიო	460 40
ბიბლიოთეკა	866 53
მუზეუმი.	4918 94
%-იანი ქალაქების შენახვა.	17 35
ინვენტარი	164 53
შემწეობა ბაგრატიის ტაძრის დასაც.	25 "
მღივანს და საქ. მწარმოებელს ჯამაგირი	625 "
მოსამსახურეებს გასამრჯელო	36 40
წვრილმანი ხარჯი	19 17
მოულოდნელი "	57 30
დაურიგდა წევრებს წიგნები.	401 55
ხარჯს აღემატა შემ. (სახ. თანხა)	1889 46
	<u>9578 03</u>

VIII. ინვესტიარი

I იანვარს 1912 წ იყო	928 13
წლის განმავლობაში შეძენილია	717 18
გამორიცხებულია 10% ღირებულებისა	164 53
I იანვარს 1913 წ. დარჩა	<u>1480 78</u>

IX. წიგნები

I იანვარს 1912 წ. იყო 1280 ც., ღირებული	1919 99
წლის განმავლობაში მიემატა 951 ც., ღირებული	469 71
მოგება იყო	22 95
დაურიგდა წევრებს	401 55
მიეცა აგენტებს	64 66
მიეცა ვალში წ.-კ. გამ. საზოგად.	36 75
გაიყიდა.	10 50
I იანვარს 1913 წ. არის 2044 ც.	<u>1899 19</u>

X. აგენტები

I იანვარს 1912 წ. იყო აგენტებზე.	12 53
წლის განმავლობაში მიეტანა	64 66
I იანვ. 1913 წ. დარჩა აგენტებზე.	<u>77 19</u>

XI. უძრავი ქონება

I იანვარს 1912 წ. იყო	24000 "
I იანვარს 1913 წ. არის	<u>24000 "</u>

XII შენახული ფული

I იანვარს 1912 წ იყო ბანკში	5288 04
წლის განმავლ შეეკვეცა სარგებელი.	304 66
I იანვარს 1913 წ. არის	<u>5592 07</u>

XIII. კაპიტორაბი

ნასესხია წ.-კ. გამავერცელებ საზოგ.	600 "
წლის განმავლობაში გადახდილია	36 "
I იანვარს 1913 წ. დარჩა	<u>564 25</u>

XIV. გარდასავალი ფული

მიღებულია ნ. ბ. ლოლობერიძის ნაანდერძევი %-იანი ქალაქდები	5200 "
ნაღდი ფული	264 07
შემოვიდა %-იანი ქალაქდების კუპონებისა.	139 65
I იანვარს 1914 წ. არის	<u>5603 72</u>

XV. საზანაგრო თანხა

I იანვარს 1912 წ. იყო სამეურნეო ბანკში	5288 04
წლის განმავლობაში შეეკვეცა სარგებელი (6%)	304 66
I იანვარს 1913 წ. არის	<u>5592 70</u>

XVI. ერთდროული საწევრო გადასახადი

I იანვარს 1912 წ. იყო	2255 "
წლის განმავლობაში მიემატა	655 "
I იანვარს 1913 წ. არის	<u>2910 "</u>

XVII. სახარჯო თანხა

I იანვარს 1912 წ. იყო	29602 "
წლის განმავლობაში მიემატა	1889 46
I იანვარს 1913 წ. არის	<u>31491 46</u>

XVIII. ბალანსი

აქტივი	
კასა	44 32
სახელდახელო ანგარიში	860 97
%-იანი ქალაქდები	9718 30
%% გირავნობის ფურცლებისა	130 62
წიგნების ბეჭდვა	2357 06
ინვენტარი	1480 78
წიგნები	1899 19
აგენტები	77 16
უძრავი ქონება	24000 "
შენახული ფული	5592 70
	<u>46161 13</u>



პ ა ს ი ვ ი

კრედიტორები . . . . .	563 25
გარდამავალი ფული . . . . .	5603 72
სავანგებო თანხა . . . . .	5592 70
ერთდროული საწევრო გადასახადი . . . . .	2910 »
საბარჯო თანხა . . . . .	31491 46
	<hr/>
	46161 13

სავარაუდო ანგარიში 1913 წ. შემოსავლისა და გასავლისა

შ ე მ ო ს ა ვ ა ლ ი

1912 წ დარჩენილი ნა- დღი ფული . . . . .	641 22
თანხების სარგებელი . . . . .	300 »
ღალღობერიძის თანხის სარგებ. 1912—13 წ. . . . .	457 »
შემოწირულობა . . . . .	500 »
თავად-აზნაურობის შემწეობა . . . . .	8000 »
წიგნების მოგება . . . . .	20 »
საწევრო გადასახადი . . . . .	600 »
	<hr/>
	10518 22

ვ ა ს ა ვ ა ლ ი

საკანცელარიო ხარჯი . . . . .	50 »
საფოსტო . . . . .	200 »
საექსკურსიო . . . . .	400 »
ბიბლიოთეკა . . . . .	800 »
მუზეუმი . . . . .	3200 »
ინვენტარი . . . . .	500 »
წიგნების ბეჭდვა . . . . .	1000 »
ფრესკების გადმოღება . . . . .	3000 »
მღიენისა და საკმის მწარმოებლის ჯამაგირი . . . . .	970 »
მოსამსახურის ჯამაგირი . . . . .	300 »
წვრილმანი და მოულოდნელი ხარჯი . . . . .	98 22
	<hr/>
	10518 22

სარევიზიო კომისიის აქტი


1913 წელსა აპრილის 21 დღესა, ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერათ, სარევიზიო კომისიის წევრებმა, საზოგადოების საბჭოს მოწვევით, განვიხილეთ:

1. საზოგადოების 1911 და 1912 წლის მოქმედების ანგარიშები,
2. შემოსავალ-გასავლის ანგარიშები იმავე 1911 და 1912 წლებისა,
3. შემოსავალ-გასავლის წიგნები, საბუთები და თანხები,
4. 1913 წლის სავარაუდო აღრიცხვა შემოსავალ-გასავლისა,
5. საზოგადოების წიგნთ-საკაფი და მისი კატალოგები,

6. მუზეუმი და მისი კატალოგები და
7. გამოცემათა საწყობი და თვით გამოცემანი,—და ვპოვეთ:

1. საანგარიშო წიგნები წესიერათ ნაწარმოები,
2. თანხები სრულიად დაცულნი, *ქართული*
3. სავარაუდო აღრიცხვა წესიერათ *შეღვენი*
4. საარქეოლოგიო ნივთები და წიგნები წესიერათ აღნუსხულ-დაცულნი,
5. საზოგადოების გამოცემათა რაოდენობაც სრულიად დაცული, დავთარის თანახმათ, იმ ცალკების გამოკლებით, რომელნიც საზოგადოების საწყობის გამგეს ამა 1913 წლის 1 იანვრიდან გაუყიდნია ან წევრთათვის დაუბრუნებია.

სარევიზიო კომ- } გრ. უფშიძე,  
მისიის წევრნი } თ. ივანე აფხაზი.



ჩვენის ფოსტა

**ჭიათურელ გერასიმეს:** თქვენ მოთხრობათ: „მე რა დაგიშავე. შე უღმერთო?“ ჩვენი პასუხი: „ჩვენ რაღა დაგიშავეთ, შე...?“ რაზე გვატირებ „მაშოს უბედურობაზედ, რომელიც გამხდარა, რაკი ლეოს წერილი არ მოსვლია და ლეოს კი იმიტომ არ მოუწერია, რომ სონაზედ გაჯავრებული ყოფილა, რატომ მიზა გიყვარდა და ვასოს კი ეარშიყვებით.“ ჭიათურაში ესენი რომ არა სწეროთ, შავი ქვა ზიღოთ არა სჯობია განა?

**გ. უანჩელს:** სატანა, ჯოჯოხეთი, კუპრი, ცეცხლი, ეშმაკები, ელვა-ქუხილი და ათასი ამ გვარი სულ იმისთვის შესძარიტ, რომ ვიღამაც გატირათ? საწყალო ბავშვო, მოდი ჩვენსა და „კაკას“ გაქმვეთ.. გონორარად.

**განდევნილს:** „მღევნის ბედი, მღევნის ხალხი, მღევნის და-ძმა და დედაცა, მღევნის... მუზა..“

ამას უთქმელადაც გავიგებდით, მაგრამ რატომ გგონიათ რომ ჩვენ გამონაკლისს შევადგენდით ამ საერთო ხორში?

**ა. ბრამა — შვილს:** შვილი ხარ ბრამასი, თვითონაც კარგი ბიჭი ხარ, გეტყობა, და რაზე ეწვალეები ან შენ, ან ჩვენ რას გვაწვალე ასეთი ლექსებითა? ხალხი და ბალი რითმა არ არის, აგრეთვე როგორც შვილი და მიმიხი.

რედაქტორ-გამომცემელი

რ. გაბაშვილი.




მ ი თ ხ ო ვ ე თ ყ ვ ე ლ გ ა ნ

# კოოპერატიული ღვინო




საზოგადოება „კახეთი“-სა



ეზო საზოგადოება „კახეთისა“: ღვინის მოტანა და გატანა

საზოგადოებას 15 წლის განმავლობაში გაუყიდა 1,000,000 ვედრო ღვინო 3,000,000 მან.

საზოგადოებას აქვს განყოფილებანი: ბაქოში, ასხა-ბადში, ტაშკენტში, ბათუმში, მოსკოვში, არმავირში, ალექსანდროპოლში, ეკატერინოდარში.



სარდაფი „კახეთისა“: ღვინის გადაღებ-გადმოღება

საზოგადოების ადრესი: თბილისი, გოგოლის ქუჩა, საზოგადოება „კახეთი“

მევენახეთა საზოგადოება „კახეთი“ დაარსებულია 1894 წელს. საზოგადოებაში არის 164 წევრი. „კახეთის“ საზოგადოების წევრებს აქვთ 866%, დანებინა ვენახი, საიდანაც უზიდავენ საზოგადოებას ნამდვილ კახურ ღვინოს!

## კალა მართოვანია!

კახელებო! ჩვენთვის საზოგადოების წევრებად და ამით დაიხსენით თქვენი სარჩო-საბადებელი სირაჯ-ჩარჩების ცარცვისაგან და მასთან ერთად შეუწყეთ ხელი ღვინით და საქმეში მონაწილეობით. ყოველ კახელისთვის ფრიად სასარგებლო „საზოგადოების“ გაფართოება — გაძლიერება, მისი წევრების ლიერების და გამდიდრების აწვევებელია.

უკანასკნელ დროს საზოგადოების საქმიანი მოწესრიგებული და მკვიდრად დაქვემდებარებულია.

მოითხოვეთ საზოგადოების წესდება.